№ 271

ხუთშაბათი, 14 დეკემბერი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 271

ხუთშაბათი, 14 დეკემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 14 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ვ. ალექსი-მესხიშვილისა და ნ. ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**ვ. ბ. გედევანოვის საბენეფისოდ**

პირველად ახალი პიესა:

I

**ბრძოლაში**

დრამა 3 მოქმედ. პოლერვიესი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

II

**დავით რაბინი**

კომედია 3 მოქმ., ერკმან-შატრიანისა, თარგ. ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩხეიძისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, გარელი; ბ-ნნი ალექსი მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, მირიანოვი, იმერიძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

მზადდება კ. შათირიშვილის საბენეფისოდ „შემოსავლიანი ადგილი", კომედ. ოსტროვსკისა.

## კონცერტი

გამართავს **პიანინოს დამკვრელი ს. ნ. იაკიმოვსკისა** მომღერალ-ქალის ლ. ფ. ფერტიგის მონაწილეობით, ტფილისის საკრებულოს დარბაზში, 16 დეკემბერს. დასაწყისი საღამოს 8½ საათზედ. როიალი ბეკკერისა. ბილეთები ყოველ დღე იყიდება საკრებულოს შვეიცართან: დილით 11—3 საათამდე, საღამოთი—7 საათიდგან. (4—262—3)

დაიბეჭდა და იყიდება ძმათა თავართქილაძეების მიერ გამოცემული კალენდრები და წიგნები საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობია ბათომში გამომცემლების მაღაზიებში, თფილისში—გ. პალიზენის სააქციონერო ქაღალდის საწყობში და ქუთაისში—მიტროფანე ლაღიძესთან.

1) **„კედლის კალენდარი"** 40 კ.

2) **„უბის წიგნი და ამხანაგი"** 30 კაპ.

3) **„საყოველთაო კალენდარი"** 20 კ.

4) **„მეცნიერებისთვის წამებული"** 1 მან.

5) **„ვეფხის ტყაოსანი"** დიდი ფორმ. ყდაში 2 მან.

6) „ჩანგი", მე-4 შევსებული გამოცემა, ფასი 1 მან.

7) **„მუშათა კითხვა"** თარგმ. თ. კიკვაძისა, გამოცემა მუშისა—15 კ.

(10—6.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეზთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**ვ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 14 დეკემბერს, ქართულ თეატრში დანიშნულია არტი-

## ფელეტონი

### მირგვილის ველი

(თუშების ცხოვრებიდგან)

(დასასრული *)

III

მზე გადაესვენა და ბნელი ზეწარი გადაეფარა თუშეთის ღრე ხევებს და მთების კალთებზედ მიკრულ სოფლებს, ხოლო მუდამ დიდებული მთის მწვერვალები ალის ფრად შეღებილი იყვნენ. წითლად ამღრეული ღრუბლების ნაწყვეტები აქა-იქა დინჯად დასცურავდნენ ცის სივრცეში. ბნელი ზეწარი მაღლა და მაღლა აიწია და ბოლოს ღამის წყვდიადმა დაჰფარა ჯიხვისა და არჩვის თავშესაფრებიც. წყვდიადში ნელ-ნელა გამოჩნდნენ მოციმციმე, მოალერსე და ცელქი ვარსკვლავები, რომ თავის მკრთალ სხივებით ცოტად მაინც გაენებნიათ სიბნელე და მით მიეცათ ბუნების შვილ მწყემსისათვის საშუალება მოევლო თავის სამწყსოსათვის... ბუნებამ მიიძინა. მიიძინეს სოფლებმაც, ხოლო მწვერვალოებიდგან დანავარდობდა ცივი სიო და არ აძლევდა მოსვენებას ბალახსა და ტყის ფოთლებს... შფოთი და გრგვინავი ალაზანიც, რომელმაც შთანთქა იმ საღამოს მსხვერპლი თავისის პატიოსნებისა და ნამუსისა, თითქო მიყუჩდა, მიეძინა თავისს ჩაღრმავებულ, ვიწრო კალაპოტში...

არ ეძინა მხოლოდ ჩილოს. გლოვის ზარი დასტრიალებდა მას თავს. შუა სოფელში, მოედნის ნაპირას, ერთ პატარა სახლიდგან ისმოდა მანდილოსნების ტირილი. მამაკაცები ტყავში გახვეულები იდგნენ გარეთ მოედანზედ და ჩუმად ლაპარაკობდნენ.

— ვინა თქვა, რომ წყალში გადავარდა? ჰკითხა ერთმა.

— წყაროდან მოდენილ ერთ დედაკაცს ენახა. ყვირილით და ტირილით მოვარდა სოფელში. ჩავიდნენ ხევში და დაფხრეწილი მანდილი იპოვეს ალაზნის პირას. მანდილს იმას აკუთვნებენ.

— ვაჰო, თავს რაღად იკლავდა? გაკვირვებით წამოიძახა ერთმა, რომელსაც ის იყო გეეგო და მოსულიყო.

— რა ვიცი, დედაკაცს ეთქო, რომ ვიღაცა ორი კაცი დასდევდაო დასაჭერად. ისაც რომ არ ჩავარდნოდა მათ ხელში, გადამხტარა ალაზანში.

— ვინ იქნებოდნენ, ვერ გაიგეთ?

— ჯარის კაცები ყოფილიყვნენ, წყლის მზიდავები.

— ეჰ, ამოიოხრა ერთმა ფრიად მოხუცმა, რომელიც აქამდის, თავჩაღუნული და ყავარჯენზედ დაბჯენილი, უძრავად მისჩერებოდა მიწას ფიქრებში გართული—რა უსინიდისობაა!.. ლეკებს რომ ჩაედინათ ეს საქმე, გასაკვირი არა იყო რა, ჩვენი მტრები არიან, მაგრამ ამას სჩადიან ჩვენივე თანამოძმეები, რომელნიც ჩვენ მიწა-წყალზედ არიან, ჩვენს პურმარილსა სჭამენ, ჩვენთან ერთად ებრძვიან მტერს და ღვრიან სისხლს!..

ამ დროს ცხენის ფეხის ხმა გაისმა. გაიხედეს და ვიწრო ორღობეში გაარჩიეს სიბნელეში ნაბდიანი, მხარზე ტიტველ თოფ გადაკიდებული ცხენით კაცი. ახლად მოსული გამოვიდა მოედანში და რა გაიგონა ტირილი იმ სახლიდან, რომლის თავსაც და სტრიალებდა სიკვდილი, შესდგა. კაცები უსალმოდ მივიდნენ. ერთმა ცხენი ჩამოართვა, ჩამოიღო ხურჯინები, მოხადა კეხის ბალიში, აღვირი და გაიყვანა ბალახზედ. მის დანახვაზედ დედაკაცებმა უფრო მაღალის ხმით მორთეს ტირილი.

— სად ხარ, სად დაიმალე, თინავ, დასტირა ერთმა მომტირალთაგანმა,—რატომ არ მიეგებები, ხომ მამამთილი მოგივიდა ცხვრიდან, აკი გიყვარდა ძალიან... რატომ არ ჩამოართმევ ცხენს და ბალახზე არ გაიყვან?... ხომ ნამგზავრი მშიერი იქნება, რატომ არა ზრუნავ და ვახშამს არ უმზადებ!.. ამ სიტყვების გაგონებაზედ თინას მამამთილმა დაბლა დახარა თავი, გული ამოუჯდა და თუმცა ვაჟკაცი იყო, დიაღ რომ თავის სამოცის წლის სიცოცხლეში ბევრი ცეცხლი და ვარამი, ბევრი ბრძოლის ველზე მტრის მახვილით განგმირული მახლობელ თანამოძმის სიკვდილი ენახა, მაგრამ ცრემლები მაინც ვერ შეამაგრა.

ძალიან უყვარდა თავისი რძალი. ცხვრიდგან როცა მოდიოდა ხოლმე შინ, მის გულს ყოველთვის ის ახარებდა, რომ მას მოეგებებოდა მორცხვი, თავ-დაჭერილი, პირ მომცინარი თინა. თინაც თუ კი შეიტყობდა დროიანად, რომ მამამთილი მოდისო, მაშინვე სიხარულით გავარდებოდა სოფლის გარეთ და მიეგებებოდა. მორცხვის ღიმილით ჩამოართმევდა ხელს და თუმცა ოთხი წელიწადი უკვე შესრულდა, რაც მის სახლში მოვიდა, მაგრამ მაინც თავისს მორცხვობით ვერ ელაპარაკებოდა. სალამიც კი ვერ მოეხერხებინა ხოლმე; მაგრამ მის ღიმილში, მის მშვენიერ თვალებში, რომლებშიაც ჭკუა და პატიოსნება გამოიხატებოდა, ჰკითხულობდა მამამთილი თავისს უღრმესს პატივისცემასა და სიყვარულს.

მოვიდა ეხლაც, რომ დაღლილი, დაქანცული მოესვენა თავისს მამა-პაპის კერასთან, გული გაეხარა თავისის რძლებითა და იმათ ცქრიალა ბავშვების შორის, მაგრამ ყველა ამის ნაცვლად რა შეჰხვდა?—ფალაზი და ზედ გაშლილი თინას სუდარა!..

იქ შეყრილ კაცებს ვერა მოეხერხებინათ რა, რომ სამძიმრად რამე ეთქვათ, რადგანაც იცოდნენ მიზეზი უბედურ თინას სიკვდილისა.

— ეჰ, სთქვა ისევ ყავარჯნიანმა მოხუცმა: ნუ შესწუხდები, გიტული, რაც მოხდა-მოხდა, დარდი და შეწუხება ეხლა აღარას უშველის...

— ნეტავ ასე მალე რა მოუვიდა იმ საწყალს, სთქვა მცირეოდენ სიჩუმის შემდეგ, გიტულიმ,—ეს ერთი კვირაც არ არის, რაც მომივიდა შინიდგან ცხვარში ვაჟი და მშვიდობიანობის მეტს არას ამბობდა.

— უბედურება, მძიმედ ამოიოხრა, მოხუცმა:—ნეტავ თავის სიკვდილით მაინც მომკვდარიყო...

— მაშ როგორ მოკვდა? მოუთმენლად გააწყვეტინა გიტულიმ.

მოხუცმა ყველაფერი უამბო, რაც მოხდა.

დიდი დამცირება და შეურაცხყოფა იყო თავმოყვარე და ამაყ გიტულისათვის თინას სიკვდილი. მის ძარღვებში სისხლი კიდევ სჩქეფდა და ჯერ მკლავს იმოდენა ძალა კიდევ შერჩენოდა, რომ მახვილით თინას დამღუპავების გული გაეპო, შური ეძია... ვიდრე სისხლს არ აიღებდა, ვერ მოისვენებდა, ქუდს ვერ დაიხურავდა და ხალხში არ გავიდოდა. თავს დაჰბუოდა მას თინას სული. ძირს ხევის უფსკრულში ალაზნის შხუილთან ესმოდა თინას ტირილი და ქვითინი, მისი ხვეწნა და მუდარება... სხვა-და სხვა ფიქრი გულს აწვებოდა გიტულის. აღარ ესმოდა არც დედაკაცების წივილ-კივილი და არც მასთან მდგომ კაცების ჩუმი ლაპარაკი.

დრო მოვიდა. ხალხი დაიშალა თავ-თავიანთ სახლისაკენ. გიტულიმ შეაღო კარები სახლში შესასვლე-

*) იხ. „ივერია" № 270.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტის გ. გედევანოვის ბენეფისი. წარმოადგენენ ახალ და საინტერესო პიესებს პოლ-ერვიეს დრამას „ბრჭყალებს", თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, და ერკმან-შატრიანის კომედიას „დავით რაბინს", თარგმ. ა. ცაგარლისა. ამ წარმოდგენისათვის მოწვეულნი არიან ქუთაისიდგან ქ-ნი ნ. ჩხეიძე და ბ-ნი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

⁂ ტფილისის გუბერნატორს განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში განსაკუთრებული კომისია დანიშნოს, რომელმაც ხელ-მეორედ უნდა განიხილოს ტფილისის გუბერნიის სამეურნეო თანხებისა და პურის საწყობების წესდების პროექტი. ამ კომისიის თავმჯდომარედ თვით გუბერნატორი იქმნება.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობას 1 იანვრიდგან 10 დეკემბრამდე შემდეგი შემოსავალი ჰქონია: დასაფასებელი გადასახადისაგან—363,563 მ. 46 კაპ., სატრაქტირო გადასახადისაგან—41,486 მ. 87 კაპ., ცხენებისა და ეტლების გარდასახადისაგან—32,223 მ. 78 კაპ., ნოტარიალურ გარდასახადისაგან—14,232 მ. 87 კაპ., სავაჭრო სტოლების დასადგამ ადგილებისაგან—16,726 მ. 44 კაპ., ქალაქის შენობების გარდასახადისაგან—13,998 მ. 58 კაპ., ქალაქის წყლის მილისაგან—198,702 მ. 61 კაპ., ქალაქის საყასბოსაგან—60,606 მ. 23 კაპ., საქონლის დასაყენებელ ადგილიდგან—19,840 მან. 46 კაპ. და საჯარიმო დასაფასებელი გარდასახადისაგან—18,113 მან. 2 კაპ.

⁂ ახალ-ქალაქის მაზრაში საადგილ-მამულო გარდასახადი აღრიცხულია სულ 349,080 მან., დესეტინაზედ 3 მან. 73 კაპ. მოდის.

⁂ კავკასიის უმაღლეს მთავრობას ნება დაურთავს, რომ ს. ლოუბანის სასოფლო საზოგადოებას სასოფლო სამეურნეო თანხიდგან 1000 მან. სესხი მიეცეს წყლის მილის გასაყვანად.

⁂ შაბათს, 16 დეკემბერს, ქალაქის გამგეობას, კრებაზედ ლაპარაკი ექმნება ტფილისში ნახშირის ვაჭრობის გაწესრიგების შესახებ. ნახშირის ვაჭრობა ამ ჟამად არა სასურველ მდგომარეობაშია სხვა და სხვა ჩარჩების წყალობით. გამგეობა ამ სხდომისათვის მიიწვევს ტფილისის პოლიცმეისტერს კოვალიოვს და ტფილისის მაზრის უფროსს თავჯანდიერს.

⁂ 12 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის მოურავმა გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ მომავალ საქალაქო არჩევნებისათვის ქალაქი სამ ნაწილად გაიყოს.

⁂ როგორც „ახ. მიმ."-ს ქუთაისიდგან სწერენ, ქუთაისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს მოუწონებია ქალაქის გამგეობასა და ინჟენერ მიხაილოვს შორის დადებულ ხელშეკრულობის პროექტი ქუთაისში ელექტრონის რკინის გზის გამართვის შესახებ.

⁂ როგორც ამავე გაზეთს სამეგრელოდგან სწერენ, აზრადა აქვთ თურმე ამერიკულ ვაზის სანერგეები სენაკისა და ზუგდიდის მაზრებშიაც გამართონ. ამ აზრით საქარის სანერგიდგან გაუგზავნიათ ამ მაზრებში ინსტრუქტორი წულუკიძე, რომელსაც სანერგეებისათვის საუკეთესო ადგილად უცვნია სოფლები გურძემი და ბობოთი.

⁂ რაკი აწინდელი ხელსამძღვანო წიგნები ქართულის ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიისა მოიძველებს და ვერ არის ისე შედგენილი, რომ ერთის მხრით სკოლის მოთხოვნილებაც დააკმაყოფილოს და მეორის მხრით საზოგადოებისთვისაც უინტერესო არ იქმნას, ბ-ნ დ. კარიჭაშვილს აღუძრავს შუამდგომლობა, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ კონკურსი გამოაცხადოს ზემოაღნიშნულ საგანზე საუკეთესო თხზულების დასაწერად. გამგეობას 12 ამა დეკემბერს მიუნდვია ბ.ბ. დ. კარიჭაშვილის, ე. თაყაიშვილის და გრ. ყიფშიძისათვის შემუშავება და წარმოდგენა პროგრამისა და მისი, თუ როგორი უნდა იქმნას დაახლოვებით საკონკურსო თხზულებანი.

⁂ სამშაბათს, 12 დეკემბერს განჯის მცხოვრებელმა ლეონ თეიმურაზის ძემ მელიქ მნაცაკანოვმა განაცხადა, რომ ჩემი „დაისის" ნომრიდგან 80 მან. მომპარესო. ეჭვი ნომრების მოსამსახურე ერმილე ზაქარაიაზედ მიიტანა, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

⁂ რედაქციამ მიიღო „კედლის ქართული კალენდარი", ძმათა თავართქილაძეთა მიერ გამოცემული. კალენდრის ზედა პირზე მშვენიერი სურათებია და, საზოგადოდ, კალენდარი კარგად არის გამოცემული. შიგ მოთავსებულია ლექსები, ნაკვესები და სხვ. ამას გარდა გამომცემელი პრემიასაც ჰპირდება. ღირს კალენდარი 40 კაპეიკად.

⁂ 1898 წლის 4 ივლისს ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის მცხოვრებს, ანტონ პეტრეს ძე ეჯიბიას მოსვლია ჩხუბი თავისს მეზობელ თეიმურაზ ეჯიბიასთან, რომლისათვისაც დაუკრავს შუბლში წალდი და იმდენად დაუშავებია თეიმურაზი, რომ მას მარჯვენა თვალი დაბრმავებია. ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1899 წლის 10 მაისს, დამნაშავედ უცვნია ანტონ ეჯიბია და გარდაუწყვეტია 6 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება. ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის დეპარტამენტმა, შაბათს, 9 დეკემბერს, განიხილა-რა ეს საქმე, დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

⁂ შაბათს, 9 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ქუთაისის გუბერნიის, სენაკის მაზრის, სოფ. ნიკოლის მცხოვრებს სიდო ხურჩულას ძეს ფირცხალავას (52 წ.) მიესაჯა ორის თვით ციხეში დაპატიმრება. ფირცხელავას ბრალად ის ედებოდა, რომ მან 1898 წელს, 26 იანვარს, ოჩამჩირის 1 განყოფილების გამომძიებელთან თხოვნაში განზრახ ტყუილად დააბრალა ქვრივს კესარია გუნიასას თამასუქის მოპარვა და სთხოვა გამომძიებელს გუნიას სისხლის სამართლის პასუხის გებაში მიცემა.

⁂ უმანის სამეურნეო სასწავლებელში კავკასიის ერთი სტიპენდია განთავისუფლებულა. ამ სასწავლებლის პირველ კლასში უეგზამენოდ იღებენ ორკლასიან სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულ უმაწვილებს. თხოვნების შეტანა შეიძლება 1901 წლის 15 იანვრამდის კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის სახელზედ.

⁂ როგორც ტფილისის ქალაქის საბჭოს მდივნის მიერ შედგენილ ანგარიშიდგან სჩანს, 1899 წელს ქალაქის საბჭოს სულ 52 ჯერ ჰქონია სხდომა, რომელთაგან ოთხი არ შემდგარა, ხმოსანთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო. მოუსმენიათ სულ 262 საქმე. წლის დამდეგს საბჭოში სულ 74 ხმოსანი ყოფილა, გამგეობის 2 წევრი და 1 მართლ-მადიდებელ სამღვდელოების დეპუტატი. წლის განმავლობაში საბჭოდგან 11 კაცი გასულა, სახელდობრ: ევანგულოვი, იოანესიანი, მღებროვი, მიტკევიჩი, პახომოვი, სეიტერი, თამამშევი, თავ. თუმანიშვილი, ხუდადოვი, იაკიმოვი და იარალოვი. 1900 წლის 1 იანვარს საბჭოში დარჩენილა 63 ხმოსანი (ახ. მიმ.).

⁂ ახალ-სენაკი. გვირას, 10 დეკემბერს, მცირე ხნის ავად-მყოფობის შემდეგ აქ გარდაიცვალა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ქართულის ენის მასწავლებელი სტატ. სოვეტნიკი იოსებ იოსების ძე მექანარაშვილი. განსვენებული მექანარაშვილი უმაღლესის სწავლით იყო აღჭურვილი. 25 წელიწადზედ მეტია, რაც სხვა-და-სხვა სასულიერო სასწავლებლებში მსახურობდა. ჯერ კიდევ მხნედ იყო, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა უდროვოდ ბოლო მოუღო; მისმა სიკვდილმა, როგორც მისს ამხანაგებს, ისე მოსწავლეებს, გული დასწყვიტა. განსვენებულს დარჩა მეუღლე და რვა წვრილ-შვილი.

დაბის ახლო მახლო სოფლებში ეგრედ წოდებული „ინფლუენციაა" გავრცელებული. იშვიათია ოჯახი, რომელსაც ორი სამი ავადმყოფი არ ჰყავდეს. დიდად გავრცელებულია აგრეთვე ყივანახველია. ამითაც მრავალი ბავშვია ავად.

⁂ პოლიციის მე-4 ნაწილში, 12 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ, ვიღაც ბოროტ-განმზრახველს აღმოსავლეთის ენათა უმცროს ცენზორის გრიგოლ კარახანოვის სადგომიდგან მოუპარავს სხვა და სხვა ნივთები, სულ 60 მანეთად ღირებული. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

⁂ როგორც „ახ. მიმ."-ს ბათომიდგან სწერენ, რკინის გზის ხუროს პარმენ დათეშიძეს საღამოზედ მიჰპარვია ფილიპე ჩიტალაძე და დანით მძიმედ დაუჭრია. ჩიტალაძე თურმე დათეშიძისას მუშაობდა. დათეშიძეს არ მიუცია რაღაც 3 მან. 15 კაპ. და ამის გამო მოსვლიათ უკმაყოფილება.

## † გიორგი ბესარიონის ძე ღოღობერიძე

(ნეკროლოგი)

11 დეკემბერს, დილის ხუთს საათზედ, ქუთაისში გარდაიცვალა ყველასაგან კარგად ცნობილი უხუცესი ნაფიცი-ვექილი გიორგი ბესარიონის ძე ღოღობერიძე. განსვენებული

---

ლად და, რა დაინახა ფლაზე თინას სუდარით და იქვე აკვანში მწოლიარე პატარა მისი ზეზვა, ველარ შევიდა, გავიდა სოფლის გარეთ და, სადაც თავის ცხენი ება ბალახზედ, იქ წამოწვა ნაბადში გახვეული.

IV

გაუგრძელდა გიტულის პატარა ზაფხულის ღამე. წაწვა დასაძინებლად, მაგრამ ძილი განქრა მისთვის. ფიქრი არა შორდებოდა, სულ თვალ-წინ ედგა სურათი: თინა, მისი ბრძოლა თავისის პატიოსნებისა და ნამუსის დასაცველად. მისი სასოწარკვეთილება და წყალში გადავარდნა, ვერაგი ჯარის კაცები და მათი უსინიდისო დევნა...

რამდენიც დრო გადიოდა და რამდენიც მეტს ფიქრს მისცემოდა, იმდენი უორკეცდებოდა ნაღველი. გული ველარ უდგებოდა მკერდში, სისხლი თავს აწვებოდა და მით აუტანელი ხდებოდა მისთვის ის წუთები. მისის გულის ნაღველსა და გესლს თითქო უმატებდნენ ძირს ხევის უფსკრულიდგან ალაზნის ჩუმი დუდუნი, ღამის სიოს სისინი, ბალახის ნელი შრიალი და შორს ჩხატების ჩხრიალი, რომელნიც ნაღვლიანად არღვევდნენ გარემოცულს სიჩუმეს. ფიქრების გასაქარვებლად და გულის დასადინჯებლად წამოდგებოდა და გაუგებ-გამოდგებოდა, მაგრამ მაინც ვერა მშვიდდებოდა...

ამ დროს მისი ცხენი-კი მშვიდად სძოვდა, ხან ჩაჰყოფდა თავს ნოყიერ ბალახში და ხრამუნით შეექცეოდა, ხან აიწევდა თავს და ყურებ-აცქვეტილი, სმენად გარდაქცეული მიაცქერდებოდა თავისს პატრონს..

გათენდა. მზემ გაშალა მძლავრი ფრთები და მით გაჰფანტა ღამის სიბნელე, გამოაღვიძა ქვეყანას, ხოლო ზოგის სასიკეთოდ და ზოგისა-კი საბოროტოდ. რაკი გათენდა იმდენად, რომ გზა გაირჩეოდა, გიტული პირდაპირ მირგველის ველისაკენ გაეშურა. ჯერ ადრე იყო. მზის თვალი ჯერ არ ჩასწვდომოდა ხევის უფსკრულს, როდესაც გიტული ავიდა ველში. გულ-ამღვრეულმა და მხოლოდ თავის აზრით აღჭურვილმა მან ვერ გაიგო, როგორ ჩავიდა ხევში, გაიარა ხიდი, რომლიდგანაც გადავარდა წყალში თინა, აიარა ის აკიდული ფიჭვის ტყიანი აღმართი, რომელზედაც გველივით მოიკლაკნება ვიწრო ბილიკი. ჯარის ბანაკში მოძრაობა ეტყობოდა: ზოგნი ცეცხლს ანთებდნენ, ზოგნი შეშას ეზიდებოდნენ და ზოგნიც ჰშლიდნენ მზეზედ გასაშრობად ღამე დანამულ ბარგი-ბარხანას. ჯარის უფროსი იდგა თავისის კარავის წინ ახლად პირდაბანილი და მხარზედ პირსახოც გადაგდებული და თავს ივარცხნიდა. მას ეხვეოდნენ მისივე მხლებლები, რომელნიც, როგორც სამხედრო სამსახური მოითხოვდა, მოწიწებით თვალ ყურს ადევნებდნენ ყოველ მის მოძრაობას და მზად იყვნენ აესრულებინათ ყოველი მისი ბრძანება და განკარგულება.

— გამარჯობა, გიტული, ხომ კარგა ხარ, ყოჩაღად! მხიარულად დაუხვდნენ თუშები, რა მივიდა გიტული მათ სადგურში.

— როგორღაც არეულია ეგ კაცი, ვაჟებო, წარმოსთქო ერთმა, — მაგის თავს უთუოდ რაღაც ამბავია; ისე ეგ ამ დროს აქ არ მოვიდოდა.

— რა ამბავია, გიტული, რატომ არას გვეუბნები, შესძახა რამდენიმემ: ხევში ხომ არა მოხდა რა, მტერი ხომ არსადა სჩანს?!..

— ნეტავი-კი სჩანდეს, ბედნიერი ვიქნებოდი! კბილის ღრაჭუნით წარმოსთქვა გიტულიმ, — მტერს ვერა ვხედავ და აი აქ მოვედი მის საძებნელათ...

— როგორ თუ მტერს აქ ეძებ, მისცვივდნენ გაკვირვებული თუშები, — ვინ არი შენი მტერი, რა მოხდა, გვითხარ ჩქარა!...

პასუხის ნაცვლად გიტული პირდაპირ მიემართა უფროსისაკენ; გაკვირვებული თუშებიც უკან მიჰყვნენ მას. მივიდა გიტული და წაუდგა წინ ჩ—შვილს. მთლად ამღრეული იყო ამ დროს გიტული. მის სახეს ფერი წასვლოდა და მის შეწითლებულ თვალებში ნაღველი და გესლი გამოიხატებოდა.

— რა მარგილივით წინ აშვერილხარ, თუშო, რა გინდა?. იოხუნჯა უფროსმა და გადაჰხედა ღიმილით თავისს მხლებლებს, რომელთაც გაიცინეს, რასაკვირველია, უფროსის მშვენიერ მოსწრებულ სიტყვებზედ.

ეს ღა აკლდა გიტულის დაკოდილ გულს და მის გაღვივებულ ნაღვერდალს. ის მოვიდა ჯარის უფროსთან იმ იმედით რომ სამართალი ეთხოვნა და ამის მაგივრად ოხუნჯობა და დაცინვა-კი მიიღო. გულს მეტი აღარ შეეძლო. მისი ძაფი ის იყო წყდებოდა.. ცეცხლის ალმა აიტანა მთელი მისი სხეული. გონება დაუკარგა და თვალებში დაუბნელა.

— ოხუნჯობისათვის არ მოსულვარ შენთან, ხმაამაღლებით წამოიძახა გიტულიმ.

— ოჰო, დახედეთ ამას, ჯავრობს კიდეც, სთქვა ჯარის უფროსმა და მწარე სიცილით გადაჰხედა ისევ მხლებლებს.

— აბა, ჰა, რა გნებავთ, ბძანეთ, მიუბრუნდა შემდეგ დაცინვის კილოთი გიტულის.

— გუშინ საღამოს შენმა წყლის მზიდავებმა დამიღუპეს რძალი... მღელვარებით უთხრა თუშმა.

— როგორ თუ დაგიღუპეს? წარბ შეჰმუხნით, თითქო განცვიფრებით ჰკითხა უფროსმა.

— ხევში შეხვდომოდათ, გაუპატიურება სდომებიათ და წყალში ჩამხრჩალა.

— ხა., ხა.. ხა?. გადიხარხარა გულიანად უფროსმა: შე სულელო, აბა ვისი რა ბრალია, რომ შენი რძალი წყალში გადავარდა და დაიხრჩო. რათ იყო მარტო? არ იცი, რომ თუ კაცს იმისთანა ალაგას მარტო ქალი შეხვდა, აედევნება?.. აბა როგორ გავამტყუნო წყლის მზიდავები?

— მაშ ეგ არი რაღა შენი სამართალი?!.. სიბრაზით შეჰყვირა გიტულიმ. კარგი სამართალი გქონია...

— როგორ თუ შენ მიბედავ! იღრიალა უცბად უფროსმა, მივარდა გაბრაზებული და ლაწანი გაადინა სილას.

მოთმინების ძაფი გაწყდა. ნაღველის და გესლის ფიალა პირს გადმოვიდა.

— ოჰ, რძალიც მე მომიკალით და მევე სილას მარტყავ?!.. იელვა ხანჯალმა და მუცელ გამოფაშული ჯარის უფროსი დაეცა სისხლის ფრქვევით გიტულის ფეხებთან.

— დაიჭით... მოკალით... ეს იყო უკანასკნელი სიტყვები ჯარის უფროსისა.

ვიდრე ჯარის უფროსის მხლებლები და ჯარის კაცები, რომელნიც იმ დროს იქ იდგნენ, გონს მოვიდოდნენ, გიტულიმ თავს უშველა.

—

დრომ განვლო. ხმალი ჩაეგო ქარქაშში და სისხლის რუები შესწყდა. ხოლო პირიქითის ალაზანი, მირგველის ველი და სხვა ბევრი ამ ნაირი ალაგი ჩვენს ბევრგვარად წამებულს ქვეყანაში, უტყვი მოწმენი არიან იმ წარსულ სისხლის დროებისა...

ივ. ბ—ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ვექილი იყო, რომელსაც უმაღლესი სწავლა ჰქონდა შესრულებული. მართალია. განსვენებული მწერლობაში პირდაპირს მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ ამ ოცი სა და ოც-და ათის წლის წინად მისი სახლი ერთი საუკეთესო სახლთაგანი იყო, სადაც ქუთაისისა ანუ, უკეთ რომა ვსთქვათ, იმერეთის ახალგაზდობის საუკეთესო ნაწილი დაიარებოდა და გონივრულად დროს ატარებდა. განსვენებულის სახლში ხშირად ჰნახავდით საუკეთესო მწერლებსა და ჩვენს საზოგადო მოღვაწეთ, რომელნიც თავიანთ ან სხვის სალიტერატურო ნაწარმოებს აქ კითხულობდნენ და საზოგადო საქმეების შესახებ მსჯელობდნენ; აქვე ჰნახავდით გიმნაზიის უფროს კლასის მოწაფეთ, ქალთა და ვაჟთ, რომელნიც მოწიწებით ისმენდნენ სალიტერატურო ნაწარმოების კითხვასა და გულმტკივნეულ მსჯელობას საზოგადო საქმეების შესახებ. ნუ იფიქრებთ, რომ განსვენებულის სახლში მარტო მისს ნაცნობებსა ჰნახავდით, არა, მისი სახლი უცნობთათვისაც ყოველთვის ღია იყო, ოღონდ ეს უცნობნი დაინტერესებულნი ყოფილიყვნენ ჩვენებურის საზოგადო საქმეების მსვლელობითა და მდგომარეობით.

განსვენებული ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა და თავისის საფუძვლიანისა და ღრმა ცოდნითა და გამოცდილებით დიდს სამსახურს უწევდა ყველა ჩვენს დაწესებულებას. საზოგადო საქმეში იგი იყო სასტიკი დამცველი წესიერებისა და კანონიერებისა და საშინელი მტერი მათი, ვინც ამ პრინციპებს ჰღალატობდა.

ამიტომაც განსვენებულს ყველა დიდის პატივის ცემით, სიყვარულითა და მორიდებით ეპყრობოდა. ამისათვის გიორგი ბესარიონის ძის დაკარგვა საგრძნობელი დანაკლისია ჩვენის საზოგადოებისთვის, რომელიც ასე ძალიან ღარიბია ისეთის მტკიცე ხასიათის კაცებით, როგორიც იყო ყველასაგან პატივცემული გიორგი.

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება.

12 დეკემბერი

კრება დაიწყო საღამოს $8^1/_2$ საათზედ უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით, რომელმაც განაცხადა, რომ დღევანდელი კრების საგანია, საბოლოოდ გადასწყვიტოს, სად უნდა გაიმართოს მომავალ 1901 წლისთვის განზრახული სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაო. საზოგადოების მდივანმა ე. იოსელიანმა წაიკითხა წინანდელ სხდომების ოქმები, რომლიდგანაც სჩანს, რომ ვერც ალექსანდრეს ბაღი, ვერც დიდუბე და ვერც სხვა ადგილი ვერ უცვნიათ მოსახერხებლად გამოფენისათვის და ბოლოს ტფილისის საბაღოსნო სკოლის ბაღში განუზრახავთ გამოფენის გამართვა, მაგრამ ამ ბაღში მცენარეთა სენი, ფესვის სიდამპლე, გაჩენილა, რომელიც გადაედება გამოფენის დროს ექსპონატებსაო. ამას გარდა საბაღოსნო სკოლის მზრუნველმა თ. ვ. ფიგუროვსკიმ გამოუცხადა კრებას, რომ თუ გამოფენას ამ ბაღში გამართავთ, მცენარის სენთან ბრძოლა გაგვიჭირდება. ამასთან გამოფენა ხელს შეუშლის საბაღოსნო სკოლის მოსწავლეების პრაქტიკულს მეცადინეობასაცაო. ამაზედ თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა მიუგო, რომ საბაღოსნო სკოლის საქმე მაინც ვერ მიდის რიგიანად, მოსწავლეები თანდათან აკლდება, ახლად გაჩენილი სენი ლამის მთელს ბაღსაც გადაედოს, და ამისათვის საჭიროა საბაღოსნო სკოლა სხვა ადგილზედ გადავიტანოთ, ხოლო სკოლის ბაღში გამოფენის გამართვა უფრო გაგვიადვილებს ამ ბაღის გაწმენდა-განახლებასაო. ასეთივე აზრი წარმოსთქვა ბ-ნმა საა კოვმა. ე. იოსელიანმა განაცხადა, საჭიროა ეხლავე გამოირკვეს, გამოფენის დროს საბაღოსნო სკოლის მოსწავლეები სხვაგან იქნებიან გადაყვანილნი თუ არა და საზოგადოებას ამისათვის რამდენი ფული შეუძლიან გადასდოსო. ბ-ნ ქალანთარის აზრით, საჭირო არ არის მოსწავლეების სხვაგან გადაყვანაო. ბოლოს კრებამ ფეხზედ წამოდგომით ერთხმად გადასწყვიტა, გაიმართოს მომავალი გამოფენა საბაღოსნო სკოლის ბაღშიო.

დასასრულ რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების ტფილისის განყოფილების მდივანმა ი. ქუთათელაძემ მოახსენა კრებას, რომ ამ დღეებში დაიწყება მეაბრეშუმეთა კრება და საჭიროა სამეურნეო საზოგადოებამ თავისი წარმომადგენელი დანიშნოს მეაბრეშუმეთა კრებაზედ დასასწრებლადაო. ასეთ წარმომადგენლებად ამორჩეულ იქმნენ: ვ. ნ. გეევსკი და ი. დ. ენიკოლოფოვი.

## თეატრი, მატიანე

ქუთაისი, 3 და 6 დეკემბერი

3 დეკემბერს ქუთაისის დრამატიულმა დასმა გუნიას მიერ ნათარგმნი 3 მოქმედ. დრამა „უბედური“ წარმოადგინა. ეს პიესა აქ პირველად ითამაშეს. ამის დაწვრილებითს შინაარსს ჩვენ არ მოვიყვანთ, რადგანაც იგი უკვე იყო ნაამბობი ტფილისში წარმოდგენის შემდეგ, ვიტყვით მხოლოდ, რომ პიესა კარგის შინაარსისაა, რომელშიაც ნათლად არის გამორკვეული როგორც წრესგადასული უზნეობა ახლანდელ საზოგადოების ერთი ნაწილისა, აგრეთვე ის საზიზღარი და სულმდაბალი საშუალებანი, რომლითაც ადამიანი სცდილობს ხოლმე დაჰფაროს თავისი ანგარება.

პიესის შინაარსმა და მსახიობთა გვარიანმა თამაშობამ კარგი შთაბეჭდილება იქონია ჩვენზედ. ნამეტნავად აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება მესხიშვილის პატარა ქალის თამაშობამ, რომელიც პიეტრას შვილის მარგალიტას როლს ასრულებდა. მარგალიტას ცოცხალი თამაშობა და ცქვიტი მოძრაობა სცენაზედ სწორედ სასიამოვნო ნექტარს უნერგდა გულში საზოგადოებას; კერძოდ მე კიდევ იმედს მივიღებდა, რომ ქართულს სცენას ამოსდის ახალი მნათობი, რომლებითაც ჩვენი თეატრი ძალიან ღარიბია.

კარგი იყო აგრეთვე ბ. აწყურელი მსაჯულის როლში. იმისმა ხელოვნურმა თამაშობამ დაგვიმტკიცა, რომ მისი ნიჭი მრავალ მხრივანია და არა მიკერძებული მარტო სომხების როლებისაკენ... ხალხი საკმარისად დაესწრო.

—

6-ს ბ-ნის ჩარკვიანის საბენეფისოდ მოლიერის 5 მოქმ. კომედია „დონ-ჟუანი“ წარმოადგინეს. წარმოდგენამ მწყობრადა და მხიარულად ჩაიარა. დონ-ჟუანის როლს თამაშობდა თვით მობენეფისე და კარგადაც ჩაატარა. კარგები იყვნენ თავიანთს როლებში ბ-ნი აწყურელი (სგანარელი) და ბ-ნი ბალანჩივაძე (პიერო გლეხი). ლაპარაკის დროს გრძნობა და სიცოცხლე აკლდა ქ-ნ ივანიძეს (ელვირა) ამ წარმოდგენაზე არა ჩვეულებრივად კარგი იყო კომანდორის ძეგლი (ბ-ნი სიმონიძე). იგი ისე იყო შეხამებულ-წათხუპნილი, აივანში ისე უგრძნობლად იდგა მთელი მოქმედების განმავლობაში ფარითა და კვერთხით აღჭურვილი, რომ გეგონებოდათ ჩამოსხმულია და არა ცოცხალიო.

ხალხი არ დაესწრო საკმარისად.

გ. საყვარელიძე

## უცხოეთი

**ინგლისი.** ბურების გამარჯვებათა გავლენისა გამო ინგლისურმა გაზეთებმა ცოტა ენა დაიმოკლეს და ისე აღარა უოცხობენ, როგორც დღემდის. უფრო მეტად კი ეს გავლენა ლიბერალთა გაზეთებს ეტყობა, რომლებმაც ინგლისელთა გამარჯვების შემდეგ მიმართულება და კილო წერისა უცბად გამოიცვალეს; ასე მოიქცა, მაგ., გაზ. „Daily Chronicle“. ახლა-კი ეს გაზეთი მთავრობის გაკიცხვასა და განქიქებას ხელახლად შეუდგა. გაზეთი იხსენებს, რომ სწორე ერთის წლის წინად ბურებმა ინგლისელები კოლენზოსთან დაამარცხეს, და ამბობს, რომ წლის თავი ეხლა იდღესასწაულეს ინგლისელთა საკმაოდ დიდის ჯარის დამარცხებითაო. გაზეთი სცდილობს ამასთანავე ახსნას როგორმე, ინგლისელები ასე ადვილად რად ჰნებდებიან ბურებსა და შეჰნიშნავს, რომ ეს მხოლოდ ბურების ბრძნულისა და ჭკვიანურის სისტემის ნაყოფიაო: ინგლისელებმა კარგად იციან, რომ ბურები კარგად მოეპყრობიან და იმიტომ ჰმორჩილდებიან, თორემ რომ იცოდნენ, სასტიკად და ბარბაროსულად მოეპყრობოდნენ, მაშინ ამისი ფიქრი ექნებოდათ და ისე ადვილად აღარ დაჰმორჩილდებოდნენო. „Morning Leader“-ს კიდევ კიტჩენერის დაპირება მოჰყავს, რომ იგი მოქმედების გეგმას შესცვლის და ამბობს: „ცენზურა უთუოდ არავითარს ცნობებს არ გაუშვებს იმის შესახებ, თუ ტყვე-ბურებს ინგლისელები როგორ ეპყრობიან. თუ რომ ინგლისელები ტყვე ბურებს ხოცვას დაუწყებენ, ეჭვი არ არის, მაშინ ბურებიც სასტიკად მოექცევიან და ამას კი დეპეშები მალე გვაცნობებენ. ამისათვის ადრევე უნდა ვიცოდეთ, რომ, თუ მართლა ბურები ხოცვას დაუწყებენ ინგლისელს ტყვეებსა, მაშინ ამასი მიზეზი პირველად კიტჩენერს ექმნება მიცემულიო“.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** კაპის ახალშენში ბურების გადასვლა ახლა საეჭვო აღარავისთვის არ არის. ბურების ერთმა რაზმმა ალივალნორტთან გენერალი ბრაბანტი დაამარცხა, მეორე რაზმმა ფილიპსტოუნი დაიჭირა და ინგლისის მთავარს საინტენდანტოს დეპოს ემუქრება. ინგლისელები ამ რაზმში 3,000 კაცსა სთვლიან. დევეტი ამ ჟამად ორანჟის რესპუბლიკის ჩრდილოეთით არის და ვინბურგს ემუქრება. ინგლისელთა ცნობებით, დევეტს ამ ჟამად 4,500 ჯარის-კაცი თურმე ჰყავს. დევეტმა ინგლისელები ორანჟის რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში ორჯელ დაამარცხა და ბოლოს კაპის ახალშენშიაც გადავიდა. ინგლისელები იქამდის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დევეტს დღე დღეზედ უთუოდ დაიჭერდნენ, რომ აღარც კი ფრხილობდნენ და რამდენსამე ადგილას ბურები სრულიად მოულოდნელად თავს დაესხნენ და დაამარცხეს.

ბრიტანიის მინისტრებმაც აზრი შეიცვალეს ბურების შესახებ და თავისს ბოლოხნდელს სიტყვებში ისე უდიერად და უმართებულოდ აღარ იხსენიებენ რადაც უაზლების ბრბოდა, როგორც წინად. პირ იქით მათს წინამძღოლებს ახლა გენერლებს უწოდებენ და ადიარებენ, რომ პატივისცემის ღირსნი არიან. ინგლისელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ბურები ისევ ისე უდრეკელნი არიან და მაგალისბურგში დამარცხების შემდეგ ინგლისელებს დევნა არ დაუწყეს; პირ-იქით, აგნენ და ფესდამუნების გაღობას მოჰყვნენო. როგორც სჩანს, ბურებს ეს, ღვთის დიდება თვით ომის დროსაც კი ხელს არაფერში უშლის და, პირ-იქით, დიდად ამხნევებს.

## ბიბლიოგრაფია.

Dr. N. Reichesberg: Die Arbeiterfrage einst und jetzt, Leipzig 1897 წ.

ნ. რაიხესბერგი: მუშათა კითხვა უწინდელ და ახლანდელ დროში, თარგმანი ევგენია სოლორაშვილისა. ბათომი 1900 წ.

ნ. რაიჰესბერგი: მუშათა კითხვა წარსულში და აწმყოში, თარგმანი თ. კიკვაძისა. ბათომი 1900 წ.

(შემდეგი *)

როგორც ვთქვით, ორივე თარგმანა ერთის თვის განმავლობაში დაიბეჭდა: არ გაუვლია სამს კვირას, რომ ქ-ნ ევგ. სოლორაშვილის თარგმანის გამოსვლას ბ-ნ თ. კიკვაძის თარგმანი მოჰყვა. და ეს ისეთ პატარა ქალაქში, როგორც ბათომია. ქ-ნ ე. სოლორაშვილის თარგმანზედ 15 ივლისს მოუწერია ცენზორს ხელი, ბ ნ თ. კიკვაძისაზე-კი — 27 ოქტომბერს. ძნელი დასაჯერებელია, ბ-ნ კიკვაძეს არა სცოდნოდა, რომ ის წიგნი, რომლის თარგმნასაც თითონ შეუდგა, უკვე ნათარგმნი და დასაბეჭდადაც ნება დართული იყო ვეჟთ, ბათომში მოკითხვით წიგნის მიღება არ დაიმალება, უმინაარსო ჭორი ერთ საათში მთელს ქალაქს მოივლის, და არ ვიცი, როგორ უნდა მოვიხდინოთ ეს, რომ ბ-ნ კიკვაძეს წიგნის თარგმნა ვერ გაეგო იქ. და თუ თარგმნა ვერ გაიგო, უეჭველად დაბეჭდვას მაინც გაიგებდა. და ეს თუ შეიტყო, აღარ ვესმის, რისთვის ჩასთვალა საჭიროდ მან, ან წიგნის გამომცემმა „მუშის“ ამხანაგობამ მეორე თარგმანის დაბეჭდვა. ჩვენ რა დიდი ხალხი ვართ და რა ისე დიდის გონებრივ მოთხოვნილების მქონე, რომ ერთ და იმავე დროს ერთის წიგნის ორი თარგმანი გვჭირდეს. იმ ფულით, რომელიც „მუშის“ ამხანაგობამ ეხლანდელ თარგმანის გამოცემას მოახმარა, შეიძლებოდა სხვა წიგნის გამოცემა და ამით ჩვენს მწერლობას ერთი რამე ახალი ნაწარმოები შეეძინებოდა. ჩვენს მდგომარეობაში ერთის წიგნის ორ სხვა-და-სხვა გამოცემად დაბეჭდვა უეჭველად ფლანგვობად უნდა ჩაითვალოს. მადლობა ღმერთს, წიგნები ბევრია სათარგმნელი და გამოსაცემი, თუ ვინმეს გული ერჩის და შრომა არ ეზარება.

იქნება „მუშის“ ამხანაგობას ისე ძალიან მოეწონა ბ-ნ თ. კიკვაძის თარგმანი, რომ საჭიროდ სცნო მისი დაბეჭდვა, მიუხედავად იმისა, რომ წიგნი უკვე სხვისაგან თარგმნილი და დაბეჭდილიც იყო. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ თავისს მოწონებაში იგი ძალიან შემცდარა. ბ-ნ თ. კიკვაძის მიერ გადმოთარგმნილი წიგნი ვითარცა თარგმანი, მეტად სუსტია. ჩვენ საფუძვლიანად შევადარეთ როგორც ბ-ნ თ. კიკვაძის, ისე ქ-ნ ევგ. სოლორაშვილის თარგმანი დედანს, აგრეთვე ორივე ქართული თარგმანი ერთმანეთს და დავრწმუნდით, რომ ქ-ნ ე. სოლორაშვილის ნაშრომი ბევრად უფრო ეთანხმება დედანს, აგრეთვე ბევრად უკეთესის ქართულის ენითაც არის დაწერილი, ვიდრე თარგმანი ბ-ნ თ. კიკვაძისა. ამის საბუთებს ჩვენ ეხლავე წარვუდგენთ მკითხველს, რომლებიც უეჭველ ეჭვს გარეშე ჰყოფენ ჩვენის მსჯავრის სიმართლეს.

ჯერ იქიდგან დავიწყოთ, რომ ბ-ნ თ. კიკვაძე ავტორს გვარს უმრუდებს. ავტორს რაიჰესბერგი კი არა ჰქვიან, არამედ Reichesberg, რაც ქართულად ასე უნდა დაიწეროს: რაიხესბერგი, — შუაში ასო „ხ“ და არა „ჰ“. რადა სდევნის ბ-ნი თ. კიკვაძე აქ „ხ“-ანს, არ მესმის.

მაგრამ ეს, ვთქვათ, წვრილმანია. დავიწყოთ მსხვილმანები. ავტორი ამბობს, რომ ეხლანდელ მუშათა კითხვის და სოციალური მოძრაობის შესახებ საზოგადოებაში შემცდარი აზრებია გავრცელებული და ასე განაგრძობს ბ-ნ თ. კიკვაძის თარგმანში:

„ასეთ ყალბ შეხედულებას, როგორც ჩანს, სამწუხაროთ, ღრმად გაუდგამს ფესვები საზოგადოების მრავალ კლასებთა შორის. საკმაოა მხოლოდ თვალი გადავავლოთ კულტურული სახელმწიფოების უკანასკნელი ათი წლების სოციალურ პოლიტიკას, რომ დავრწმუნდეთ საქმის ასეთ ?) მდგომარეობაში(!); დავრწმუნდეთ იმაში, რომ ყოველივე სიკეთე, რაც თანამედროვე სოციალურ პოლიტიკის მეოხებით შექმნილა, აქ(?) დ ა ფ ა რ უ ლ ი და გ ა დ ა ფ უ ჩ ე ჩ ე ბ უ ლ ი ა(?!). მარა(!) ყოველ ღონისძიებ ს მუშათა კითხვის შესახებ საკმაოდ ემჩნევა ნაცად შინაურ საშუალებათა ყოვლის შემძლებლობის ღრმა რწმენა“ (გვ. 6—7. ხაზ-გასმული ჩვენგანაა)

არას ვიტყვით აქ ენის სიკოჭლისას, — ამის შესახებ ქვევით გვექნება ლაპარაკი. მხოლოდ ერთი შენიშვნა, რადგან იქნება შემდეგში დაგვავიწყდეს: „კლასებთა შორის“ რომ ქართულად არ ითქმევა, ამის ცოდნა-კი მოეთხოვება ბ-ნ თ. კიკვაძეს. უნდა ითქვას და დაიწეროს კიდეც: ან „კლასებს შორის“ ან-და „კლასთა შორის“. „კლასებთა შორის“ დამტვრეული ქართულია. აზრიც ასევე დამტვრეულად არის გადმოცემული ამ ამონაწერში. მკითხველისა არ ვიცი და მე-კი უნდა გამოვტყდე, რომ ის ადგილი, რომელიც ხაზგასმულია, სრულიად ვერ გავიგე. სოციალურ პოლიტიკაზე თვალის გადავლება დაგვარწმუნებს თურმე საქმის „ასეთ მდგომარეობაში“, მაგრამ ვერ მივმხვდარვართ, რომელია ის „ასეთი მდგომარეობა“. იგივე თვალის გადავლება დაგვარწმუნებს თურმე კიდევ, რომ სოციალურ პოლიტიკის მიერ მოტანილი სიკეთე „აქ“ დაფარული და ფუჩეჩ მიერილია მაგრამ მაინც ვერ მივმხვდარვართ, ვის რად დასჭირდა ამ სიკეთის დამალვა, და თუ ვინმემ მართლა გვიმტრო და დაჰმალა, — სად დაჰმალა, რომ წავიდეთ მის საძებნელად. მთარგმნელი ამბობს, „აქ“-ო, მაშასადამე, სადმე ახლო უნდა იყოს. მაგრამ ახლოა თუ შორს, ეს სულ ერთია, ჩვენ მაინც ვერ ვიპოვით დამალულს და გვიჯობს თავი დავანებოთ.

მივმართოთ ქ-ნ ევგ. სოლორაშვილის თარგმანს, იქნება იმან გვიხსნას

*) იხ. „ივერია“ № 270.

გაჭირვებიდგან. ზემოდ ამოწერილი ადგილი აქ ასე იკითხება (გვ. 6):

სამწუხაროდ, როგორც ეტყობა, ხსენებულ (ე. ი. შემცდარს, რომელიც ავტორმა ზევით მოიხსენია) შეხედულებას ღრმა ფესვები გაუდგამს საზოგადოების ზოგიერთ ნაწილებში. საკმარისია მხოლოდ რამდენადმე ობიექტიურად გადაჰხედოთ კულტურულ სახელმწიფოების სოციალურ პოლიტიკას ამ უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში, რომ სწორედ ასეთ დამაღონებელ დასკვნამდე მიხვიდეთ. მე სრულებითაც უარს არ ვჰყოფ იმ სიკეთეს, რომელიც მოიტანა თანამედროვე სოციალურმა პოლიტიკამ. მაგრამ თითოეულ სოციალურ პოლიტიკურ ზომაში ნათლად ჩანს, რომ ამგვარი ზომების მიმღებთ უებარ წამლად მიაჩნიათ წვრილმანი საშუალებანი“.

ეს-კი გავიგე და, უეჭველია, თქვენც გაიგეთ. ავტორი არაა კმაყოფილი არსებული სოციალური პოლიტიკით. თუმცა უარს არ ჰყოფს ამ პოლიტიკით შექმნილს სიკეთეს, მაგრამ მასში უმთავრესად წვრილმან ზომებს, წვრილმან საშუალებათ ჰხედავს. ეს ცხადი და ნათელია. მაგრამ ბ-ნი თ. კიკვაძე რაღაც გადაფუჩეჩების შესახებ გველაპარაკებოდა და ეს-კი სულ არაა აქ მოხსენებული. მივმართოთ დედანს, იქნება ბ-ნ თ. კიკვაძის „გადაფუჩეჩება“ ქ-ნმა ე. სოდორაშვილმა გადააფუჩეჩა. თქვენც არ მომიკვდეთ—დედანშიაც (გვ. 2—3) იმასვე წაიკითხავთ, რაც ქ-ნ ე. სოდორაშვილის თარგმანიდგან ამოვიწერეთ. ეს ამონაწერი თითქმის სიტყვა-სიტყვით ეთანხმება დედანს. ავტორი არაფრის „გადაფუჩეჩებაზედ“ არ ლაპარაკობს. მაშ საიდგან გამოატყვრინა ბ-ნმა თ. კიკვაძემ „დაფარვა“ და „გადაფუჩეჩება“? არ ვიცი სწორედ. შეიძლება მხოლოდ ვიგონოთ, რომ თარგმნის დროს იმ ადგილის აზრი მან ვერ გაიგო და, რახან რამენაირად უნდა ეთარგმნა, —„გადააფუჩეჩა“. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ ამ ადგილას ავტორის ნამდვილი აზრი ბ-ნ თ. კიკვაძის თარგმანში „დაფარული და გადაფუჩეჩებულია“.

არ იფიქროთ, რომ ასეთი აზრ „გადაფუჩეჩებული“ ადგილი პირველი და უკანასკნელი იყოს ბ ნ თ. კიკვაძის თარგმანში. არა, ძალიან ბევრიცაა. აი, თუ არ გჯერათ და თან თუ არ მომიწყენთ, დავყვეთ კვალ-კვალ. მეშვიდე გვერდზედ ვკითხულობთ:

ყველა ექიმმა იცის, თუ როგორ ადვილათ შესაძლებელია ზოგჯერ ერთგვარი გარეგანი ნიშნებისა და გარემოების მიხედვით ამა თუ იმ შემთხვევის ყალბათ ახსნა“ (ხაზგასმული ჩვენგანაა).

ახლა ერთი მიბრძანეთ, როცა ამას წაიკითხავთ, არ იტყვით: ვჰყო, ამის თანა რამე რატომ უეჭველად ექიმმა უნდა იცოდეს და სხვამ არაო? განა ეგევე არ უნდა იცოდეს და არ იცის ქიმიკოსმა, ბატანიკოსმა, ზოოლოგოსმა, ეკონომისტმა? რასაკვირველია, უნდა იცოდეს და იცის კიდეც. ამიტომ გაუგებარი რჩება, რომ აქ მხოლოდ ექიმია მოხსენებული. საეჭვოა, რომ ეს ასე დაეწეროს ავტორს, რადგან იგი, თუმცა პროფესორია, მაგრამ ასეთი ხეპრე მაინც არ იქნება, რომ სპეციალურად ექიმის საცოდნელად დაჰსახოს ის, რაც არა ექიმისთვისაც ცნობილი და გამოცნობილია.

დავეკითხოთ ქ-ნ ე. სოდორაშვილის თარგმანს. აქ ვკითხულობთ შემდეგს (გვ. 7):

ყველა ექიმმა იცის, გარეგანი ნიშნების მსგავსებით, რომლებიც სხვა-და-სხვა გვარ სენთ ერთნაირი აქვთ, თუ როგორ ადვილად შეიძლება შემცდარი აზრის შედგენა ამა თუ იმ ავათმყოფობაზე“.

აქ-კი გაუგებარი არაფერია და სწორედ ასე გასაგებადვე ამბობს ავტორი დედანში (გვ. 3). ამ გვარად, როგორც ჰხედავთ, ავტორის აზრი ბ ნ თ. კიკვაძის თარგმანში ამ ადგილასაც „დაფარული და გადაფუჩეჩებულია“.

გვერდი მეცხრე: აქ ავტორი ამბობს, რომ მეცნიერების მიმდევართ (ე. ი. მეცნიერთ) იშვიათად უცდიათ აეხსნათ და გაერკვიათ საზოგადოებისათვის, რომ ახლანდელი დროის მუშათა კითხვა ძირითადად განსხვავდება ძველი დროის ასეთივე კითხვისაგანო. ამას შემდეგ ბ-ნი თ. კიკვაძე ასე ალაპარაკებს ავტორს:

„ამისთვის გასაკვირველიც აღარაა ის, რომ ამ საგნის შესახებ დიდათ შემცდარი აზრი ტრიალებს საზოგადოებაში და არც ის, რომ დღევანდელ მუშათა კითხვის შესახებ გავრცელებული შეხედულობაც ძალიან ნაკლებათ არის მეცნიერულათ დასაბუთებული“.

უეჭველია, როცა ამ ამონაწერის ბოლოს წაიკითხავს მკითხველი, იფიქრებს: ავტორს უთუოდ ამ საზოგადოებაში გავრცელებულ შემცდარის აზრის დასაბუთება სწადიან მეცნიერულადაო. ეჭვი შეგეპარებათ პროფესორის ჭკუის სისაღეში. კაცი ამბობს, ესა და ეს აზრი შემცდარიაო, და იმავე დროს აპირებს კიდეც ასეთი აზრის დასაბუთებას და მეცნიერულადაც დასაბუთებას! უთუოდ აქ რაღაც „დაფარული და გადაფუჩეჩებულია“.

ვადარებ ქ-ნ ე. სოდორაშვილის თარგმანს. აქ ეს ადგილი ასე იკითხება (გვ. 9): „საკვირველიც არ არის ამიტომ, რომ საზოგადოებაში ამ საგანზე შემცდარი აზრებია გავრცელებული“. არც მეტი არც ნაკლები, და ეს ეთანხმება კიდეც დედანის აზრს (გვ. 5).

გამოვტოვოთ გვერდი მეათე, მეთერთმეტეც თუმცა აქაც—mir nichts, dir nichts—მთელი ოთხი სტრიქონია ისეთი ჩაკერებული, რაც ავტორს სრულიად არ დაუწერია. გავჩერდეთ ერთ წუთს მე-12-ე გვერდზედ. აქ ბ-ნი თ. კიკვაძე სიტყვას „Höriger“ სთარგმნის „დაპყრობილ“-ად. ქ-ნ ე. სოდორაშვილს გადაუთარგმნია სიტყვა „მებეგრე“-დ და ძალიან კარგადაც უქნია. საშუალ საუკუნეებშიაც არსებობდნენ მებეგრეები. ესენი თუმცა ყმები იყვნენ, მაგრამ ნამდვილ ყმებისაგან მეტის უფლებებით განირჩეოდნენ. მაგალითად, მებატონე ვერ გაჰყიდდა მებეგრეს უმამულოდ, ყმას—კი.

იმავე გვერდზედ ბ-ნი თ. კიკვაძე გვამცნეს, რომ სპარტაში ყმები პერიტები იყვნენო. ასეთი სახელი პირველად მესმის და, მგონი, ავტორსაც. ავტორი პერიოკებს იხსენიებს და არა პერიტებს (დედანი გვ. 8). ასევე სწერს ქ-ნი სოდორაშვილიც (გვ. 12). იგივე ბ ნი კიკვაძე გვამცნევს მე 15 გვერდზედ, რომ საბერძნეთში მონები, სხვათა შორის, სარდინიის ბაზრიდგან მოჰყავდათო. ავტორი-კი სარდინიის მაგივრად სარდს ამბობს, და ეს ერთი და იგივე როდია. სარდი იყო დედა-ქალაქი ლიდიის სახელმწიფოსი მცირე აზიაში, სარდინია-კი კუნძულია ხმელეთ შუა ზღვაში.

გვერდი მე-17. აქ ბ-ნი თ. კიკვაძე ასე სთარგმნის: „მთელი სამძიმო ტვირთი, სათჯახთ სამუშაოს მთელი ჯაფა და შრომა, [illegible]

ბერძნეთში აწვა კისერზე ზემოთ მოკლედ დასურათებულ ორ კლასს—დაფლობილ ყმებს, ერთი მხრით, და მონებს მეორე მხრით“.

თუმცა ამ ადგილის აზრს გაიგებს ადამიანი, მაგრამ ვაი იმ გაგებას! „სამძიმო ტვირთი“! ტვირთი არის ან მძიმე და ან სამძიმო, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა ითქვას,—ვისთვის. მაგალ., რაიხესბერგის წიგნის თარგმნა სამძიმოა ბ-ნ თ. კიკვაძისთვის,—ეს სწორე ქართულია. გარდა ამისა, ნეტა რა უნდა იყოს: „სათჯახთ სამუშაოს მთელი ჯაფა და შრომა“? ადამიანის შრომა და ჯაფა-კი მესმის, მაგრამ „სამუშაოს შრომა და ჯაფა“-კი, უნდა გამოვტყდე, ვერ გამიგია. არ მესმის, რა შრომის და ჯაფის გაწევა უნდა შეეძლოს სამუშაოს.

ვკითხოთ აქაც ქ-ნ ე. სოდორაშვილს. ეს პატივცემული მანდილოსანი სწორედ დაუფასებელი დამხმარე გამიხდა ამ შემთხვევაში. მისს თარგმანში ვკითხულობთ (გვ. 16): „ამ საზოგადოების ორ კლასს, რომელთა მდგომარეობა ჩვენ ზევით მოკლედ დავახასიათეთ, ე. ი. მებეგრეებს და ყმებს ერთი მხრით და მონებს—მეორე მხრით, აწვათ კისერზედ შრომის მთელი სიმძიმე ძველ საბერძნეთში“. როგორც ჰხედავთ, აქ არ არის არც აზრის სიბნელე ბ-ნ ი. კიკვაძისა და არც მისივე მრავალ-სიტყვაობა. ვადარებ ამ ადგილს დედანს (გვ. 12) და ვხედავ, რომ ქ. ე. სოდორაშვილის თარგმანი აქაც თითქმის სიტყვა სიტყვით ეთანასწორება მას.

Georgiano.

(შემდეგი იქმნება).

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ჰამბურგში (გერმანიაშია) ამას წინად დიდი მიტინგი გაუმართავთ ბურების სასარგებლოდ. მიტინგს 7000 კაცამდე დასწრებია. პირველი სიტყვა წარმოუთქვამს ქიუსტ პოპს. „კრიუგერი ევროპაში მოვიდა შემწეობის სათხოვნელადო,—უთქვამს პოპს. სხვათა შორის გერმანიაშიაც დააპირა შემოსვლა, მაგრამ ცხვირ წინ კარები დაუკეტეს („ფუ, რა საძაგლობაა“! დაიძახეს დარბაზში). მე არა მსურს გავკიცხო იმპერატორის საქციელი („რატომ?, რატომ“!, მოისმოდა აქეთ იქიდგან), მაგრამ გული-კი დამეწვა, როდესაც გავიგე, რომ იმპერატორმა კრიუგერი არ მიიღო. იმისი მიზეზი, თუ რატომ არ მიიღოო, არ ვიცი. „თავისს ბებიის ხათრით არ მიიღოო“ გაისმა ერთხმად დარბაზში. (იმპერატორის ვილჰელმის ბებია ინგლისის დედოფალი ვიქტორიაა) არ მინდა აქ პოლიტიკაზედ გავაბა ლაპარაკი, მაგრამ ვწუხვარ-კი, რომ იმპერატორსა და იმის ხალხს შორის ხიდია ჩატეხილი და ღრმა უფსკრული გაჩნდა. ძნელად-ღა მოახერხებს ვინმე ამ უფსკრულზედ ახალის ხიდის გადებას. ამ საქმეების შესახებ რეიხსტაგშიაც ლაპარაკობენ და გულ ახდით ვიტყვი, რომ ჭვერ ვენდობი ჩვენ კანცლერს (ხანგრძლივი ტაშის ცემა). სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ამ საგნის შესახებ მასხარულ კილოთი ლაპარაკობს, ღირსი არ არის კანცლერობისა“ (ხანგრძლივი ტაშის ცემა). ასეთივე სიტყვა წარმოსთქვეს და მთავრობა გაჰკიცხეს სხვებმაც. ბოლოს მიტინგმა ერთხმად დაადგინა, გაგზავნოს ორი დეპეშა, ერთი იმპერატორთან, მეორე კანცლერ ბიულოვთან, პირველს ეთხოვოს მიიღოს კრიუგერი, ხოლო მეორეს საყვედური გამოეცხადოს.

* * *

ვინ მიეგებება პირველად მეოცე საუკუნეს? რადგანაც დედამიწაზე ყველგან ერთ დროს არა თენდება, მაშასადამე, მომავალ საუკუნეს პირველად ყველგან ერთ საათსა და წამს არ დადგება, ამიტომ ბევრნი კითხულობენ, დედამიწის რომელი კუთხე და მცხოვრებნი ეღირსებიან სხვებზედ უფრო ადრე მეოცე საუკუნის დადგომასაო. ასეთ კუთხედ უნდა ჩაითვალოს ერთი კუნძული დიდ ოკეანეში, სახელდობრ „მეგობრობის“ კუნძული. ყველა ის ადგილები, რომლებიც ამ კუნძულის აღმოსავლეთით მდებარეობენ, უფრო ადრე ეღირსებიან ახალ საუკუნეს, ვიდრე ისინი, რომელნიც დასავლეთით მდებარეობენ. ამ რიგად დიდ ოკეანეს ერთ ნახევარზედ დადგება ახალი საუკუნე იმ დროს, როდესაც მეორე ნახევარზედ ჯერ ისევ 1900 წლის 31 დეკემბერი იქმნება.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 დეკემბერი

**პეტერბურგი.** 12 დეკემბერს, ალექსანდრეს პარკში, ხალხის სიფხიზლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარის პრინცის ოლდენბურგელისა და პრინცესა ევგენია მაქსიმილიანეს ასულისა და დიდის მთავრის სერგეი მიხეილის ძის თანდასწრებით აკურთხეს სახალხო სახლი. მათნი უმაღლესობანი სათეატრო და სახალხო სასეირნო დარბაზში შევიდნენ. თავმჯდომარის ამხანაგმა ტაინი სოვეტნიკმა ტურჩანინოვმა, თავმჯდომარის სახელით წაიკითხა შემდეგი: „მე მქონდა ბედნიერება მის უდიდებულესობისათვის უქვეშევრდომილესად მეუწყებინა სახალხო სახლის დღეისათვის დანიშნული კურთხევისა, ნიჟეგოროდის გამოფენაზედ ყოფილ სამხატვრო განყოფილების შესახებ, რომელიც უმაღლესად ებოძა ხალხის სიფხიზლის სამზრუნველო კომიტეტს სახალხო გასართობთა გასამართავად. თვით შენობის ასაგები ადგილი დათმობილ იქმნა უმაღლესის ბრძანებით და საჭირო ფულიც უმაღლესად ნაწყალობევია. დღეს ნაკურთხი შენობაც მთლად მეფის საჩუქარია სატახტო ქალაქის მშრომელ მცხოვრებთათვის“.

უქვეშევრდომილესის მოხსენების პასუხად ხელმწიფე იმპერატორმა ინება მის უმაღლესობის სახელზედ შემდეგის დეპეშის გამოგზავნა: „თანახმა ვარ სახალხო გასართობთა სახლს ჩემი სახელი დაერქვას. ვუსურვებ ახალს საქმეს სრულს წარმატებას.—ნიკოლოოზი“. უმაღლესის დეპეშის წაკითხვაზედ გაისმა აღტაცებული „ურა“-ს ძახილი და მუსიკამ საერო საგალობელი დაუკრა. შემდეგ გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი. დეკანოზმა მამა გოლუბევმა სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის პრინცს ალექსანდრე პეტრეს ძეს ხალხის განათლებისა და ზნეობრივად ამაღლების საქმეში. შემდეგ დამსწრენი საუზმეზედ იქმნენ მიწვეულნი. მის უმაღლესობას სიტყვა მოახსენეს: ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა კოკოვცევმა, არტისტმა საზონოვმა და ერთმა მუშათაგანმა მუშების მონდობილობით. 2 საათზედ შეიკრიბნენ მუშების ოჯახობა და დაიწყო წარმოდგენები, რომელიც ღამის 11 საათსა და 15 წამს გათავდა. მუშებს ვახშამი გაუმართეს.

12 დეკემბერს ყირიმიდგან ჩამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, ეგერმეისტერი სიპიაგინი, რომელსაც მიეგებნენ: მინისტრის ამხანაგი, დეპარტამენტთა დირექტორები, ქალაქის უფროსი და მისი თანაშემწე.

**კაპშტადტი.** კიტჩენერი დეაარში წავიდა, საიდგანაც ჰხელმძღვანელობს ჯარს, რომ კაპის ახალშენს ბურები არ შეესივნენ.

**პეკინი.** კოლოგანთან შეკრებილ ელჩთა პრინცი ცინი იყო, რომელსაც ნოტა გადასცეს. ცინმა სთქვა: „მაქვს პატივი მივიღო ნოტა, რომელიც კეთილ განწყობილებას აღადგენს. დაუყოვნებლივ გადავსცემ იმპერატორს და რამწამს მივიღებ პასუხს, გაცნობებთ. ავადმყოფმა ლიხუნჩანგმა ბოდიში შეუთვალა ელჩებს.

**კაპშტადტი.** ახლა სჩანს, რომ ბურებს ძალიან ცოტა ვნება მოუტანიათ რკინის გზისათვის და მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტა წყალ-დიდობას უნდა მიეწეროს. კაპშტადტსა და დეაარს შორის მატარებლების მიმოსვლა უკვე აღდგენილია.

**პეკინი.** მხოლოდ პრინცს ცინს შეუძლიან დაესწროს იმ დროს როდესაც საზოგადო ნოტას ოფიციალურად გადასცემენ ჩინეთის მთავრობას. ლიხუნგჩანგი ძალიან სუსტადაა და მისი ავადმყოფობა საშიშარია; თუნდაც მოკეთდეს იგი, მაინც საეჭვოა, რომ შეიძლოს და დაესწროს იმ მოლაპარაკებას, რომელიც ნოტის ჩაბარებას მოჰყვება.

**ხარკოვი.** 28 დეკემბერს აქ გაიხსნება დროებით სამხედრო სასამართლოს სხდომა, რომელიც განიხილავს ათის ბოშის საქმეს, რომელთაც სოფლის სამმართველოს და ეკლესიების გაძარცვა ჰბრალდებათ. სექტემბრის განმავლობაში შვიდჯერ მოუხდენიათ ავაზაკობა, რომლის დროსაც მოუკლავთ 17 კაცი და მოუპარავთ 4,526 მან.

**პარიჟი.** სამხედრო სამინისტროს 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად დანიშნულმა კომისიამ გუშინ პალატაში გარდაწყვეტილად გამოსთქვა თავისი აზრი, რომ ყოვლად შეუძლებელიაო სამხედრო-ბეგარისათვის ორის წლის ვადა იქმნას დანიშნულიო.

პეტერბურგის ბირჟა, 12 დეკემბერი

| | მყიდველისა. | გაყიდვებისა. | გამყიდველისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% მომგებიან-გირაოს ფურცელი სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა | — „ | — „ | 215 |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა | 87½ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა | — „ | 101½ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა | 92½ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა | 92¼ | — „ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | 86¼ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 92½ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა | — „ | 86 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 337 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 284½ |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Декабря 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე